

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას ფასიანი ქაღალდების ბაზრის დეპარტამენტში საოპერაციო რისკების სპეციალისტის პოზიციაზე:

ფასიანი ქაღალდების ბაზრის დეპარტამენტის ამოცანაა: საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ვაჭრობის სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

მოვალეობები:

- საზედამხედველო სუბიექტების საინფორმაციო სისტემების შეფასება, საოპერაციო რისკების ანალიზი, მათ შორის კიბერ-რისკების ანალიზი/შეფასება და შესაბამისი საზედამხედველო ღონისძიებების მომზადება და გატარება;
- სხვადასხვა საინფორმაციო სისტემების ტექნიკური ამოცანების განხილვა და მათ დანერგვასა და ტესტირებაში მონაწილეობა;
- საზედამხედველო სუბიექტების ადგილზე ინსპექტირების დაგეგმვა და შემოწმება, შემოწმების ანგარიშებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა/ანალიზი საოპერაციო რისკებისა და Fintech რეგულაციის მიმართულებით; საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ დონეზე მოცემული პრაქტიკის დანერგვა/გაზიარება;

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება კომპიუტერული მეცნიერების, ეკონომიკის, ფინანსების ან/და მათემატიკის მიმართულებით;
- სასურველია საინფორმაციო სისტემების დანერგვაში გამოცდილების ქონა;
- სასურველია საოპერაციო რისკების შეფასებაში გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა;

პიროვნული და სხვა უნარ-ჩვევები:

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და კეთილსინდისიერება;
- ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, დაგეგმვისა და სამუშაო დროის ოპტიმალურად განაწილების უნარი,

- მიზანდასახულობა,
- თვითგანვითარების სურვილი,
- სხარტი აზროვნება, მრავალმხრივი ინფორმაციის ანალიზის და სისტემატიზირების უნარი,
- შეზღუდული ინფორმაციის პირობებში გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი.

ანაზღაურება: განისაზღვრება კანდიდატის გამოცდილებისა და განათლების შესაბამისად.

კონკურსის ფორმა: კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით. დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ 2018 წლის 21 დეკემბრამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge და სათაურში მუთითეთ ვაკანსიის დასახელება - **საოპერაციო რისკების სპეციალისტი**